



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

18 დეკემბერი, 2023 წ.

2023 წლის 8 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოაქვეყნა საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიშის სამუშაო ვერსია. გეგმა მომზადდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

გამოქვეყნებული ინფორმაციით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ჩაატარა საჯარო განხილვები 11 და 15 დეკემბერს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განხილვის მიზნით. სამწუხაროდ, 15 დეკემბერს ჩატარებულ ვირტუალურ შეხვედრაზე გაურკვეველი ტექნიკური მიზეზების გამო, მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელმა ბევრ სხვა დაინტერესებულ მხარის მსგავსად (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი ა.შ.), ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია კიდევ ერთი შეხვედრის მოწყობა დოკუმენტზე საბოლოო დასკვნის გაცემამდე.

მწვანე ალტერნატივა წარმოგიდგინებ შენიშვნებს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასების ანგარიშზე.

ზოგადი შენიშვნა - განახლებული მონაცემების საჭიროება

საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული გეგმა აგებულია იმ დაშვებით, რომ 2030 წლისთვის საქართველოში ენერჯის მოხმარება მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს, რაც განპირობებული იქნება მშპ-სა და საოჯახო მეურნეობების რაოდენობის ზრდით. ამასთან დოკუმენტი ფოკუსირებულია ძირითადად ელექტროენერგეტიკის სექტორზე. დოკუმენტის მიხედვით, ელექტროენერჯის მოხმარება გაიზარდება და მიაღწევს 15500 გიგავატსაათს. შესაბამისად, ყველა სცენარი ითვალისწინებს დამატებითი გენერაციის ობიექტების მშენებლობას გაზრდილი მოხმარების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად იმისა რომ NECP-ს ყველაზე პრიორიტეტული მიმართულება ენერგოეფექტურობაა, ამ მიმართულებით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლები საკმაოდ მოკრძალებულია და მიმართულია არა პირველადი და საბოლოო მოხმარების შემცირებაზე, არამედ ე.წ. „პროგნოზირებული“ (პროექტირებული) ზრდის შერბილებაზე.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტს მოცემულობად აქვს მიღებული ძველ ვერსიაში გაკეთებული მოძველებულ დაშვებები, რაც განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტის სერიოზული ნაკლოვანებაა. მაგალითად, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მონაცემებით, 2023 წელს (იანვარი-ნოემბერი) ელექტროენერჯის მოხმარება საქართველოში 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემცირდა 1 მლრდ კვტ.სთ-ზე მეტით, აფხაზეთის მოხმარების ჩათვლით (12.920 მლრდ- კვტ.სთ-დან 11.851 მლრდ-მდე) და კლების ტენდენცია გრძელდება. არ არის წარმოდგენილი ელექტროენერგეტიკის სექტორში მიმდინარე ტენდენციები: კრიპტომინინგის სექტორში მიმდინარე ცვლილებები (პლატფორმა, კრიპტოს მიღების შემცირებული შესაძლებლობა ა.შ.); სახურავების მზის სადგურების განვითარების საკმაოდ მზარდი პროცესი (60 მგვტ-მდე საერთო სიმძლავრით¹); სახელმწიფო დახმარების გარეშე მიმდინარე ენერგოეფექტური ღონისძიებები როგორც მოსახლეობაში, ისე საწარმოებსა და ქალაქების დონეზე (მაგ. გარე განათების შეცვლის პროცესი).

სამაგიეროდ, წარმოდგენილი სცენარები ეფუძნება მცდარ დაშვებას, რომ ენერჯის მოხმარება იზრდება და საჭიროა დამატებითი გენერაციის ობიექტების მშენებლობა. შედეგად, NECP-ში განსაზღვრული პროექციები ქმნის არასწორი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს. მიგვაჩნია, რომ სგმ ანგარიშმა მკაფიოდ უნდა გაუსვას ხაზი NECP-ში წარმოდგენილი ინფორმაციის განახლების საჭიროებას, რასაც უნდა დაეფუძნოს ალტერნატიული სცენარები.

მესამე სცენარი - „პირველი ალტერნატიული სცენარი - ქარის ენერჯის უპირატესი გამოყენება“

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტის მტკიცებით, „ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის დოკუმენტს დაემატა ალტერნატიული სცენარების თავი, რომელშიც წარმოდგენილია სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული სცენარების განხილვა და დასაბუთება. ეს სცენარებია: ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სცენარი, ინერციული (business as usual) სცენარი, პირველი ალტერნატიული სცენარი - მარეგულირებელი 21 ჰიდროელექტროსადგურების ნაცვლად, ქარის ენერჯის უპირატესი გამოყენების სცენარი და მეორე ალტერნატიული სცენარი - მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების ნაცვლად, თბოელექტროსადგურების მშენებლობა“.

სინამდვილეში, NECP-ში გაანალიზდა მხოლოდ ორი სცენარი TIMES (The Integrated MARKAL-EFOM System) მოდელირების პროგრამის საშუალებით, რომელიც გამოიყენება გრძელვადიანი ენერჯეტიკული სცენარების შესადგენად: ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სცენარი და ე.წ. ინერციული (business as usual) სცენარი. რაც შეეხება დანარჩენ ორ სცენარს NECP-ში წარმოდგენილია მხოლოდ თითო გვერდიანი აღწერა, თუ რატომ არის მიუღებელი აღნიშნული სცენარები. არც სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასების დოკუმენტში და არც NECP-ის სამუშაო ვერსიაში, დეტალური გათვლები გაკეთებული არ არის.

¹ ეს მონაცემები დადასტურებულია თავად ეკონომიკის სამინისტროს მიერ საჯარო განხილვის დროს;

მესამე სცენარი - „პირველი ალტერნატიული სცენარი - ქარის ენერჯის უპირატესი გამოყენება“

გაუგებარია ამ ალტერნატივაში წარმოდგენილი სცენარის შინაარსი. ინფორმაცია იმგვარად არის წარმოდგენილი, თითქოს ქვეყანას გენერაციის ობიექტები არ აქვს და მხოლოდ ახლა იწყება ქარის ენერჯეტიკის განვითარება. ამისთვის დაგეგმილია დამატებითი სიმძლავრეები დასაბალანსებლად. რჩება განცდა, რომ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ქვეყანას არ აქვს მარეგულირებელი სადგურები და საჭიროა მარეგულირებელი სადგურების აშენება გენერაციის დივერსიფიკაციის მიზნით.

წარმოდგენილი სცენარი ვერაფრით ჩაითვლება სრულფასოვან ალტერნატივად, რადგან არასრულფასოვნად არის ინფორმაცია წარმოდგენილი და ეფუძნება მცდარ დამკვიდრებას. აუცილებელია, სხვა სცენარების მსგავსად, წარმოდგენილი სცენარიც გაანალიზდეს TIMES მოდელში ქვეყანაში არსებული სხვა გენერაციის ობიექტებთან ერთად. მიღებული შედეგები უნდა შედარდეს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უპირატესად მიჩნეულ NECP სცენარს. რაც შეეხება ამ ალტერნატივის შინაარსობრივ ნაწილს, „სცენარში“ გაკეთებულია წინააღმდეგობრივი და მცდარი ჩანაწერები.

მაგალითად, დოკუმენტის მტკიცებით, 2030 წლისთვის რეგულირების სისტემის უზრუნველყოფის გარეშე, შეუძლებელია 750 მგვტ-ზე მეტი ქარის ელექტროსადგურების სიმძლავრის ქსელში ინტეგრირება, რისთვისაც საჭიროა 4 საათის ტევადობის, მინიმუმ 150 მგვტ სიმძლავრის მქონე ენერჯის შემნახველი ტექნოლოგია, რის გამოც, ეს ალტერნატივა გამოირიცხა. მეორეს მხრივ კი, 2024-2025 წლების კლიმატის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია უფრო მძლავრი 200 მეგავატი სიმძლავრის BESS სისტემის მონტაჟი 2026 წლამდე, რაც NECP-ში განსაზღვრული საერთოდ არაა.

გამოწვევად არის შერაცხული შემნახველი ტექნოლოგიების ღირებულება და ექსპლუატაციის ვადა, რაც დოკუმენტის მტკიცებით, „ტექნოლოგიის ხარჯთაფექტიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს“, თუმცა კლიმატის სამოქმედო გეგმით, 125 მილიონი აშშ დოლარია გამოყოფილი 200 მეგავატის სიმძლავრის ბატარეის დასაყენებლად. სცენარში სერიოზულ ნაკლოვანებად განიხილება ბატარეის ექსპლუატაციის ვადა (10-15 წელიწადი) მარეგულირებელ ჰესებთან შედარებით (100 წელიწადი), თუმცა ანგარიშის ავტორებს რატომღაც გამორჩათ, ეხსენებინათ, რომ 15 წლის შემდეგ ბატარეების სასარგებლო „მოცულობა“ კი არ ნულდება, არამედ მცირდება მხოლოდ 40%-ით. შესაბამისად, დროში გაწერილი სათანადო ღონისძიებებით (განახლება, ტექნოლოგიური გაუმჯობესება ა.შ.) ბატარეის ფუნქციონირება საკმაოდ ხანგრძლივად არის შესაძლებელი. ამასთან აუცილებლად უნდა შედარდეს ამ ტექნოლოგიის ტექნიკური მომსახურების ხარჯები ჰესების გეგმიურ და არაგეგმიურ ტექნიკურ მომსახურება-რეაბილიტაციას ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად მომსახურების ხარჯებზე (მაგ. ენგურჰესი, შუახევი ჰესი ა.შ.).

უპირატესი სცენარი - ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის (NECP) სცენარი

უპირატესად მიჩნეული ალტერნატიული სცენარი გულისხმობს 237 მგვტ საერთო დადგმული სიმძლავრის მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების, 430 მგვტ მარეგულირებელი ჰესების, 547 მგვტ მზის, 750 მგვტ ქარის და 500 მგვტ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურების აშენებას და გაშვებას 2030 წლისთვის. ეს სცენარი წარმოადგენს სტრატეგიული დოკუმენტით

რეკომენდებულ ალტერნატიულ სცენარს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

ამ ღონისძიებების გარდა, 2024-2025 წლების განახლებული კლიმატის სამოქმედო გეგმით დამატებით გათვალისწინებულია 200 მეგავატი სიმძლავრის ბატარეების ტექნოლოგიის დაყენება, რაც ამ სცენარით გამოირიცხა. ამასთან, გაუგებარია, დასაბუთების გარეშე, კვლავ ჰიდროელექტროსადგურებზე აქცენტის გაკეთება 2030 წლამდე, მითუმეტეს პრაქტიკულად გამორიცხულია 430 მეგავატის სიმძლავრის ნამახვანის აშენება 2030 წლამდე. კითხვებს ბაღებს ამდენი გენერაციის ობიექტის საჭიროების საკითხიც. მაგალითად, რა ამოცანების გადაწყვეტა მოხდება მოდინებაზე მომუსავე 237 მეგავატი სიმძლავრის ჰესებით, რომელთა გენერაცია დეფიციტურ პერიოდებში მინიმალურია და ვერ ჩაანაცვლებს ბაზისურ გენერაციას.

ეს წინააღმდეგობრივი ჩანაწერები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ NECP-ში აუცილებელია სათანადოდ განისაზღვროს და გაანალიზდეს ალტერნატიული სცენარები. ამასთან დაკავშირებით, სტრატეგიულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში უნდა გაკეთდეს მკაფიო ჩანაწერი და დოკუმენტი დაბრუნდეს გადასამუშავებლად.

აქცენტი კვლავ ჰიდროელექტროსადგურებზე

არსებული პროგნოზებით, საქართველოში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელია საშუალო ტემპერატურის 2041-2070 წლებისთვის 1.6°C-3.0°C-ით, ხოლო 2100 წლისთვის 2.1°C-3.7°C-ით ზრდა 1971–2000 წლების საბაზისო პერიოდთან შედარებით². უფრო პესიმისტური პროგნოზია გაკეთებული 2021 წელს აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ მომზადებულ საქართველოს კლიმატური რისკების პროფილში და 2090 წლისთვის საშუალო ტემპერატურის ზრდას 1.4°C-4.9°C ფარგლებში ვარაუდობს, 1986-2005 საბაზისო წლებთან შედარებით³.

კვლევის მიხედვით, საქართველოს მდინარეებში წყლის ნაკადის შემცირება მოსალოდნელია ზაფხულის თვეებში და ემთხვევა ენერგიაზე პიკურ მოთხოვნას, რომელიც ძირითადად კმაყოფილდება ჰიდროგენერაციით. პირველადი შეფასებით, მაგალითად, მდინარეებში ალაზანსა და ხრამ-დებედაში მოსალოდნელია წყლის ნაკადის შემცირება 30%-55%-მდე 21 საუკუნის ბოლოსთვის. კვლევაში დამატებით საფრთხეებად ხაზგასმულია კლიმატის ცვლილების გამო, მეწყერების გააქტიურების რისკებიც, განსაკუთრებით, საკვანძო ენერგოინფრასტრუქტურის სიახლოვეს.

აღნიშნულის ფონზე, უცნაურია, რომ სტრატეგიულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ კეთდება აქცენტი ამ საფრთხეებზე და არც არის ახსნილი, რა ამოცანების გადაჭრა იგეგმება მოდინებაზე მომუსავე ჰესების აშენებით ქვეყნის ენერგოსისტემისთვის.

მიგვაჩნია, რომ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო NECP-ში განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების პროექტებთან დაკავშირებული საფრთხეები და შეფასებები ენერგეტიკულ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით, კლიმატის ცვლილების და სოციალურ ჭრილში მათი საჭიროების დასადგენად: რამდენად უზრუნველყოფს ეს პროექტები

² საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, Georgia's Environmental Outlook (GEO)-ის მიერ, 2021 წელს მომზადებული ანგარიში

³ <https://www.adb.org/publications/climate-risk-country-profile-georgia>

გენერაციის დივერსიფიკაციას, რა პოტენციალი არსებობს ენერგოეფექტური ღონისძიებებით მოხმარების შემცირების (ვარჯარას და ფლუროსცენტული ნათურების აკრძალვა, გარე განათების ენერგოეფექტური ლედ ნათურებით ჩანაცვლების ხელშეწყობა, ფინანსური მხარდაჭერა მოწყვლადი მოსახლეობისთვის ენერგოეფექტური მოწყობილობების შესაძენად ა.შ.). შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში ხაზი გაესვას ამ მიმართულებით დამატებითი კვლევების ჩატარების საჭიროებაზე და რეალისტური სცენარის აუცილებლობაზე და საგრძნობი ეფექტის მიღება შეიძლება 2030 წლამდე მოხმარების შემცირების მიმართულებით.

ენერგოეფექტურობა

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის თანახმად, „ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა განსაზღვრავს ღონისძიებებს შენობებისა და სამრეწველო და ტრანსპორტის სექტორების, აგრეთვე ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერჯის წარმოებისა და გადაცემის ინფრასტრუქტურის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიმართულებით. გეგმაში შემოთავაზებული პროექციით, ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ქვეყანაში მოსალოდნელია ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის ყოველწლიურად 2.0-2.5%-ით ზრდა.“ ეს ჩანაწერი წინააღმდეგობრივია არსებული ტენდენციების გათვალისწინებით.

ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის მიხედვით, ენერგოეფექტურობა წარმოადგენს მოთხოვნის მართვის საკვანძო მიმართულებას და განიხილება როგორც „ენერჯის წარმოების შესაძლებლობა“. ევროკავშირში ენერგოეფექტურობის ღონისძიებებით დაგეგმა როგორც პირველადი, ისე საბოლოო ენერჯის მოხმარებაზე მოთხოვნის შემცირება. ენერგოეფექტურობა ანაცვლებს ახალი გენერაციის ობიექტების მშენებლობაზე გასაწევ ძვირ ინვესტიციებს, ამცირებს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებას და ზრდის მიწოდების უსაფრთხოებას⁴. ენერგოეფექტურობა წარმოდგენილ დოკუმენტში თითქოსდა ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად არის მოხსენიებული, თუმცა შინაარსობრივად, საკანონმდებლო ბაზის ეტაპობრივი მოწესრიგების და ევროკავშირთან „დაახლოების“ დაპირების გარდა, რეალურად, დროში გაწერილი კონკრეტული ქმედებები, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც პირველადი, ისე საბოლოო ენერჯის მოხმარების შემცირებას, არ არის განსაზღვრული. ენერგოეფექტურობა შემოიფარდება მხოლოდ ე.წ. „ენერჯის მოხმარების ოპტიმიზაციით“. ენერჯის მოხმარების ოპტიმიზაცია კი, დოკუმენტის თანახმად, გულისხმობს ენერგომოხმარების „მოსალოდნელი ზრდის მაჩვენებლის“ შემცირებას და არა არსებული მოხმარების შემცირებას.

დოკუმენტში ენერგოეფექტურობა არ განიხილება როგორც გამჭოლი ღონისძიებების პაკეტი, რომელსაც აქვს გავლენა არამხოლოდ ელექტროენერჯეტიკაზე, არამედ ეკონომიკისა და ენერგეტიკის ყველა სექტორზე. ენერგოპოლიტიკის დოკუმენტში, ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელების „მთავარ დაბრკოლებად“ არის მიჩნეული სათანადო სახელმწიფო დაფინანსების არარსებობა და ბიუჯეტური სახსრების სიმწირე. თუმცა ავტორებს გამორჩათ ესენებიანათ, რომ იმავე „მწირ“ ბიუჯეტში გაწერილია მილიარდ ლარზე მეტი დაფინანსება გადამცემი და სხვა ენერგობიექტების მშენებლობისთვის მხოლოდ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სტრატეგიული შეფასების დროს ძირითადი აქცენტი გაკეთებულიყო ენერგოეფექტურობაზე, როგორც გამჭოლ მიმართულებაზე, ამბიციური გაზომვადი მიზნებით, დროში გაწერილი ქმედებებითა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან

⁴https://energy.ec.europa.eu/topics/energy-efficiency/energy-efficiency-targets-directive-and-rules/energy-efficiency-first-principle_en

ამ ღონისძიებების უზრუნველყოფის ფინანსური რესურსებით. მხოლოდ ასე არის შესაძლებელი საქართველოს ენერგოსაფრთხოების უფრო მაღალი ხარისხის მიღწევა.

სახურავების მზის სადგურები და აქტიური მომხმარებლები

მზის პოტენციალის ასათვისებლად, გეგმაში საერთოდ არაა ნახსენები სახურავების მზის სადგურები, რომელიც საკმაოდ მიმზიდველ მიმართულებად გადაიქცა ბოლო წლებში. ნეტო ადრიცხვის ჩართვიდან დღემდე უკვე 60 მეგავატამდე სიმძლავრეა ჩართული ქსელში (ეკონომიკის სამინისტროს პასუხი). შესაბამისად, უცნაურია, რომ ასეთი მზარდი სექტორი საერთოდ ვერ მოხვდა NECP-ში. ინდივიდუალური მზის გენერაცია და მომხმარებლების აქტიურ მომხმარებლებად გარდაქმნა (Prosumer) ენერგოსაფრთხოების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და ხელს უწყობს სისტემის განტვირთვას და მედეგობის ზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს მიმართულება უნდა დაემატოს სამოქმედო გეგმას, ხოლო სამიზნე მაჩვენებელი განისაზღვროს ამ სფეროში მოქმედ კომპანიებთან კონსულტაციის საფუძველზე. ამასთან წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშემწყობი ღონისძიებები ამ სექტორის კიდევ უფრო განვითარებისთვის და უნდა შეფასდეს ამ სექტორის ზემოქმედება ენერჯის მოხმარების სტრუქტურაზე.

დეკარბონიზაცია და მასთან დაკავსირებული პრობლემური საკითხები

NECP-ის თანახმად, დეკარბონიზაციის მიმართულების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია (მიზანი 1.5) ენერჯის საბოლოო მოხმარებაში, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის გაზრდა (სამიზნე 27,4% 2030 წლისთვის). დეკარბონიზაცია, სადაც ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სუფთა ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობაზე, რაც გულისხმობს ქვანახშირის, გაზის და ნავთობის ჩანაცვლებას საწარმოო პროცესებში, ინდუსტრიების ტექნოლოგიურ გადაიარაღებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, ეს საკითხი სათანადოდ განხილულიც კი არ არის ენერგოპოლიტიკისა და NECP-ს სამუშაო ვერსიებშიც.

ევროკავშირის შემთხვევაში, განახლებადი ენერჯიები მართლაც განიხილება ენერგოსაფრთხოების ამალების ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებად, თუმცა ძირითადად აქცენტი კეთდება ქარის და მზის ენერჯიებზე, ახალ ტექნოლოგიებზე, რითიც შესაძლებელია წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება იაფი ელექტროენერჯით, განსაკუთრებით ტრანსპორტსა და ინდუსტრიულ სექტორებში, ემისიების შემცირება ა.შ. ჩვენს შემთხვევაში კი, ამ მიმართულებით შეფასებაც კი არ არის გაკეთებული, როგორც უნდა ჩანაცვლოს მაგალითად, ჰიდროელექტროსადგურებმა იმპორტირებული ენერჯია, როდესაც დეფიციტურ პერიოდებში ჰესების კონტრიბუცია მინიმალურია.

უფრო მეტიც, ენერგოპოლიტიკის დოკუმენტებში ბუნებრივი გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის პოტენციური რესურსების ძებნა-ძიებისა და რაციონალური ათვისების მაქსიმალური ხელშემწყობას ითვალისწინებს, რათა ენერჯიაზე მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს იმპორტირებული ენერჯის ეტაპობრივი ჩანაცვლებით საკუთარი ენერგეტიკული რესურსებით. NECP არათუ ემისიების შემცირებას, არამედ პირიქით, მის გაზრდას გეგმავს და ერთ-ერთ მიზნად, დამატებით 500 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობა განსაზღვრა, რომელმაც სხვა სადგურების მსგავსად, უნდა იმუშაოს იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე. ამასთან იგეგმება

გაზიფიკაციის აქტიური ხელშეწყობა რეგიონებში. შესაბამისად, ეს აქტივობა ეწინააღმდეგება ენერგოპოლიტიკის გაცხადებულ მიზანს იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირების თაობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ემისიების შემცირებაზე.

გაუგებარია, რატომ კეთდება აქცენტი კიდევ უფრო მეტ წიაღისეულ საწვავის მოხმარებაზე ყოველგვარი ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის გარეშე, მაშინ როდესაც არსებობს საფრთხე, რომ ეს ინვესტიციები შესაძლოა გადაიქცეს ე.წ. „Stranded“ აქტივებად.

არ არის წარმოდგენილი არც გაზსაცავის სავარაუდო ტექნიკური და ფინანსური პარამეტრები, მათ შორის, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი და არაა განმარტებული გაზსაცავის ამ დრომდე არ აშენების მიზეზებიც.

ენერგოსაფრთხოება და ახალი თბოსადგურები

კითხვებს ბადებს დოკუმენტში გაკეთებული ჩანაწერი თბოსადგურებთან დაკავშირებით. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ასამაღლებლად „იგეგმება სისტემაში მაღალი ეფექტიანობის კომბინირებული ციკლის გაზის ტურბინიანი თბოელექტროსადგურებით არსებული, მოძველებული თბოსადგურების ჩანაცვლება“. საინტერესოა, კერძოდ, რომელი მაღალი ეფექტიანობის აგრეგატებით იგეგმება მოძველებული თბოსადგურების ჩანაცვლება, ვინაიდან როგორც საქართველოს გენერაციის საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ადეკვატურობის (2021-2035) გეგმით ირკვევა, არსებობს ჩვენს სისტემაში ახლადაშენებულ აგრეგატებზე უკეთესი თანამედროვე ვერსიებიც: „საქართველოში არსებულ თბოსადგურებს საკმაოდ მოუქნელი და მდორედ მომუშავე აგრეგატები აქვთ. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს კომბინირებული ციკლის თბოელექტრო სადგური, რომელსაც შეუძლია სიმძლავრის ცვლილება 180 მგვტ-იდან 230 მგვტ-მდე, თუმცა მისი გამშვება/გაჩერება დაშვებულია წელიწადში მხოლოდ 4-ჯერ. აღნიშნულ სადგურთან შედარებით თანამედროვე აგრეგატები ბევრად უფრო უკეთეს შედეგს აღწევენ“. სამოქმედო გეგმის მიხედვით, ახალი კომბინირებული გარდაბანი-3 თბოელექტროსადგურის მშენებლობა არის გათვალისწინებული 2026 წლამდე, რომელიც ავტორების მტკიცებით, ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას (SDG). კერძოდ, ეს ობიექტი ხელს შეუწყობს შემდეგი მიზნების მიღწევას: SDG 3 (ჯანმრთელობა და კეთილდღეობა), SDG 7 (ხელმისაწვდომი და სუფთა ენერჯია); და SDG 11 (ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება).

აუცილებელია, გეგმის ავტორებმა დეტალურად წარმოადგინონ განმარტება და დასაბუთება, კონკრეტულად გაზე მომუშავე თბოსადგურები როგორ და რა კუთხით და მიმართულებით იმოქმედებს დადებითად სუფთა და ხელმისაწვდომი ენერჯიის განვითარების თვალსაზრისით. აქვე უნდა გაკეთდეს განმარტება, როგორ უზრუნველყოფს ეს ობიექტები ქვეყნის ენერგოსაფრთხოებას, მაშინ როცა ეს სადგური კიდევ უფრო გაზრდის იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულებას ან რატომ ვგეგმავთ 200 მეგავატის სიმძლავრის ბატარეას კლიმატის სამოქმედო გეგმაში, თუ NECP-ში მაინც თბოელექტროსადგურები გვჭირდება.

მერების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ასახვის საჭიროება

კიდევ ერთი საკითხი რომელიც ასახული უნდა იყოს NECP-ში, ეს არის თვითმმართველი ქალაქების მიერ მერების შეთანხმებით განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები, რომელიც უნდა იყოს გადმოტანილი სამოქმედო გეგმის შესაბამის თავებში და შეფასდეს იქ განსაზღვრული

აქტივობებით მისაღწევი შედეგები TIMES-ის მოდელის გამოყენებით. ჩვენი ინფორმაციით, დაასრულეს ან დასრულების ეტაპზეა შემდეგი მუნიციპალიტეტების სამოქმედო გეგმები (SECAPs): სენაკი, ონი, ბაღდათი, ფოთი, გურჯაანი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, დუშეთი, მცხეთა, ყაზბეგი, თელავი, სიღნაღი, ყვარელი და დედოფლისწყარო. ამასთან ქ. თბილისს აქვს მობილობის სამოქმედო გეგმაც. დოკუმენტში კი ასახული არ არის მათი შემოქმედება ქვეყნის საერთო სურათზე მათ შორის ენერჯის მოხმარების შემცირების მიმართულებით.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სტრატეგიული ზემოქმედების შეფასების ანგარიშში უარყოფითად უნდა შეფასდეს NECP-ში წარმოდგენილი სცენარები, თავიდან მოეთხოვოს სამინისტროს მინიმუმ ერთი დამატებითი სცენარის წარმოდგენა, რომელიც არ იქნება ორიენტირებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე, პრიორიტეტი მიენიჭება ენერგოეფექტურობის უფრო ამბიციურ მიზნებს და მეტად იქნება ფოკუსირებული დეკარბონიზაციაზე 2030-2050 წლებისთვის.

განსახილველად წარმოდგენილი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში უნდა გაკეთდეს მკაფიო რეკომენდაცია დოკუმენტებში გამოტოვებული საკითხების ასახვის და ახალი სცენარების დამუშავების თაობაზე, რომელიც თავსებადი იქნება როგორც საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებთან, ისე ქვეყნის ენერგოსაფრთხოების მიზნებთან. აღნიშნული რეკომენდაცია მნიშვნელოვანია არამარტო „ვალდებულებების შესრულების გამო“, არამედ იმ გამოწვევების საპასუხოდ, რასაც კლიმატის ცვლილება უქადის საქართველოს.

ეკონომიკის სამინისტრომ აუცილებელია, წარმოადგინოს ახალ სცენარში ყველა ტექნოლოგიური ალტერნატივა (რეაბილიტაცია-რეტროფიტინგი არსებული გენერაციის ობიექტების, ბატარეები ა.შ.), რომელიც ემსახურება განახლებადი ენერჯის განვითარებას, ნაკლებად მოწყვლადია კლიმატის ცვლილების მიმართ და შესაბამისად, არ არის ფოკუსირებული ჰესებზე. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ენერგოეფექტურობას, როგორც გამჭოლ მიმართულებას, განისაზღვროს ამბიციური გაზომვადი მიზნები, დროში გაწერილი ქმედებები (თვეებისა და წლების მიხედვით საგზაო რუკა) და გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ ღონისძიებების უზრუნველყოფის სათანადო ფინანსური რესურსები; ნათლად გაიწეროს სექტორების მიხედვით, მიწოდების და ტექნოლოგიური დივერსიფიკაციის შესაძლებლობები;

ამასთან ეკონომიკის სამინისტრომ:

- უნდა განაახლოს მონაცემები NECP-ში და TIMES მოდელში თავიდან გააკეთოს პროექციები;
- უნდა ჩამოაყალიბოს რეალისტური სცენარები, რომელიც გაანალიზებული იქნება TIMES-ს მოდელში და მხოლოდ ამ შეფასების საფუძველზე განსაზღვროს საუკეთესო სცენარი;
- განმარტოს, როგორ განისაზღვრა საბაზისო სცენარი, რამდენად რეალისტური იყო მისი განხორციელება (რატომ იზრდებოდა მოხმარება ასეთი სისწრაფით), რა აქტივობებს მოიცავდა და რა შეიცვალა უპირატესად მიჩნეულ სცენარში? მაგალითად, რა აქტივობებზე თუ პროექტებზე ითქვა უარი საბაზისო სცენართან შედარებით;
- უნდა ჩამოაყალიბოს სამუშაო ჯგუფები ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, როგორც ეს შეთანხმებული იყო NECP-ს შემუშავების პროცესში ევროკავშირის ენერგოგაერთიანებასთან ერთად.